



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/186

ქ. თბილისი

25 ივლისი 2018

**სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის  
ფაკულტეტზე მალხაზ დოლიძის მოწვევის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის მოწვეული პროფესორის, მალხაზ დოლიძის 2018 წლის 13 ივლისის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე მოწვეულ იქნეს მალხაზ დოლიძე პროფესორის თანამდებობაზე 500-საათიანი დატვირთვით 2018-2019 სასწავლო წლიდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე